პირველი დანაკარგი

თბილისი. "ლოკომოტივის" სტადიონი. 8 აპრილი.

"დინამო" (თბილისი) - "ტორპედო" (მოსკოვი) - 0:0.

"დინამო": ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, რეხვიაშვილი, პეტრიაშვილი, ილიადი, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, მესხი (გავაშელი).

"ტორპედო": ლაიზანი, იანეცი, პახომოვი, კრასნოვი, ჩუმაკოვი, გულიამხაიდაროვი, ლენიოვი, ნიკონოვი, შალიმოვი, გერშკოვიჩი, მიხაილოვი.

მსაჯი: ტ. ბახრამოვი (ბაქო).

მაშ ასე: თბილისის "დინამომ" დაკარგა პირველი ქულა, ნამდვილი "ოქროს ქულა" იმ გუნდთან, რომელიც უეჭველად შევა ქვეჯგუფის პირველ შვიდეულში და ამდენად ჩვენი უშუალო და კონკრეტული კონკურენტია ადგილების საბოლოო განაწილებისას.

თვით ამ ფაქტში, შეიძლება ტრაგიკული არაფერი იყოს, ვინაიდან მოსკოვის "ტორპედო" ახლა ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია კავშირში, ჰყავს საუკეთესო შემადგენლობა და მასთან ფრედ თამაში, თუნდაც საკუთარ მინდორზე, არ წარმოადგენს განგაშის საბაბს. სხვა დროს ჩვენც მოგვიგია მოსკოვში და ტორპედოელებსაც - თბილისში. საქმე მატჩის ხასიათშია, მის მიმდინარეობაში, მინდორზე მომხდარ ამბებში და, საერთოდ საკითხავია - შეეძლოთ თუ არა დინამოელებს გაემარჯვათ?

შეეძლოთ. გაიხსენეთ თამაშის დასაწყისი. პირველი შეტევა წამოიწყო ხურცილავამ, რომლის ძლიერი დარტყმა სულ ოდნავ აცდა კარს. შემდეგ ასევე სახიფათო მომენტები შექმნეს მესხმა და ილიადიმ, ხოლო მეტრეველმა მე-5 წუთზე ისეთი "საკონცერტო" სოლური გარღვევა შეასრულა, რომ აღტაცებაში მოიყვანა მაყურებელი, მაგრამ არც მისი გადამწყვეტი დარტყმა იყო ზუსტი მე-19 წუთზე. ილიადიმ ძელს მოახვედრა ბურთი.

ამ პერიოდში თბილისელებს თითქმის ასპროცენტიანი უპირატესობა ჰქონდათ. გუნდის ნახევარდაცვა მთელი შემადგენლობით იმყოფებოდა შეტევაზე, ხურცილავას საფუძვლიანად ჰყავდა ჩაკეტილი გერშკოვიჩი, ხოლო ძოძუაშვილს არაერთხელ მიეცა საშუალება მიხაილოვთან ბრძოლის მოგების შემდეგ გასულიყო ფლანგზე და მხარი დაეჭირა იერიშისთვის. აი, სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა ტორპედოელთა კარზე მძლავრი დაწოლა, რომელსაც უეჭველად უნდა მოჰყოლოდა გოლი.

გოლი კი არ ჩანდა. "ტორპედოს" ახალმა მეკარემ ლაიზანმა, რა თქმა უნდა, გარკვეული წვლილი შეიტანა თავისი გუნდის კარის ხელუხლებლობაში, მაგრამ იგი ვერაფერს გახდებოდა, დინამოელთა საბოლოო დარტყმებს მეტი სიზუსტე რომ ჰქონოდა.

გავიდა 20-25 წუთი და გამოირკვა, რომ მასპინძელთა თავდასხმაში ყველაფერი რიგზე არ იყო. კერძოდ, მესხი იშვიათად ერთვოდა თამაშში, მოწყვეტილი იყო საერთო იერიშს და სისტემატურად კარგავდა ბურთს იანეცთან ბრძოლაში. ცენტრში ბევრს მოძრაობდა ნოდია, მაგრამ მისი თამაში მოკლებული იყო პროდუქტიულობას, ბურთი ხშირად "გაურბოდა" ფეხებიდან და, საბოლოოდ,

ცენტრში არ იკვრებოდა კომბინაციური კვანძი. ცხადია, როცა 3 ფორვარდიდან ორი ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე და ვერ ასრულებს სათამაშო დავალებას, შეტევა დიდხანს ვერ გასტანს. ასეც მოხდა. მოსკოველთა დაცვაში ორგანიზატორის როლი ითავა პახომოვმა. მან ლენიოვისა და გულიამხაიდაროვის აქტიური დახმარებით თანდათან გაათანაბრა თამაში და მალე თბილისელთა ნახევარმცველები იძულებული იყვნენ უკან, მინდვრის სიღრმეში დაეხიათ.

"დინამოს" შტურმი კიდევ ერთხელ გამეორდა მეორე ტაიმის დასაწყისში, პირველი ათიოდე წუთის მანძილზე. მოსკოველებმა კიდევ ერთხელ შეძლეს ამ შეტევის მოგერიება და მერე ისევ მტკიცედ დაეუფლნენ მინდვრის შუაგულს. ამ ხნიდან მოყოლებული, ცენტრალურ ზონაში "ტორპედოს" ნახევარმცველები ბატონობდნენ. მათი მეშვეობით კი კონტრიერიშების საშუალება მიეცათ თავდამსხმელებსაც. გერშკოვიჩი მოსცილდა ხურცილავას და მაშინვე მიიღო თავისუფალი მოქმედების საშუალება. მას საუკეთესო პარტნიორები ჰყავდა შალიმოვისა და ნიკონოვის, აგრეთვე, ნახევარმცველების სახით. ისინი სულ უფრო აძლიერებდნენ იერიშს, სულ უფრო ხშირად ჩნდებოდნენ მასპინძელთა საჯარიმო მოედანზე და თითოეულ მათს გარღვევას ძალიან მწვავე, სახიფათო ხასიათი ჰქონდა.

და მაინც, ბოლო წუთებზე "დინამოს" შეეძლო გაეტანა გოლი. მატჩის დამთავრებას ბევრი აღარაფერი აკლდა, როცა მოსკოველთა კარის წინ მარტო აღმოჩნდნენ გავაშელი და ასათიანი. მათი წამიერი შეყოვნება საკმარისი გამოდგა, რომ ჩუმაკოვს ბოლო მომენტში გადაერჩინა თავისი გუნდი აშკარა ხიფათისგან. საერთოდ, როგორც ეს თბილისის "დინამოსა" და მოსკოვის "ტორპედოს" ტრადიციაშია, მატჩი საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა.

ბ. ქორქია.

"ლელო|, 10 აპრილი, 1969 წ.